პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს მიხედვით: 0831 – "მეთევზეობა"; 0841 – "ვეტერინარია"; 0849 – "ვეტერინარია – არაკლასიფიცირებული"; 0811 – "მემცენარეობა და მეცხოველობა"; 0511 – "ბიოლოგია", 0721 „სურსათის გადამუშავება" რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის შემდეგ, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სავალდებულოა უცხოური ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა), გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ. აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ის კომპიუტერულ ცენტრში უცხოურ ენაში.

პროგრამის მიზანია:

მეცხოველეობის დარგის სისტემური და სიღრმისეული ცოდნის მქონე მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი მეცხოველეობის მაგისტრის მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს: სასოფლო-სამეურნეო და ეგზოტუკურ-კომპანიონ ცხოველთა/ფრინველთათვის, საკვების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ეფექტური და უსაფრთხო კომბინირებული რეცეპტების შექმნას; სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ახალი ჯიშების გამოყვანას ხელოვნური დათესვლის ინოვაციური მეთოდებით; მეცხოველეობის დარგში წარმოქმნლ პრობლემებთან დაკავშირებით საკუთარი კვლევებით არგუმენტირებული და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას და წარდგენას სპეციალისტების წინაშე, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; შემდგომი სწავლისა და პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად წარმართვას და მეცხოველეობის არაპროგნოზირებად სამუშაო გარემოში საკუთარი წვლილის შეტანას დარგის ეფექტური და გამართული ფუნქციონირებისათვის.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. ამჟღავნებს მეცხოველეობის სფეროს ღრმა და კომპლექსურ ცოდნას მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიასთან დაკავშირებული საკითხებისა და მეთოდოლოგიის შესახებ;
2. ავლენს სისტემურ ცოდნას სახორცე და მერძეული ძროხის, ღორის, ფრინველის, ცხვრის, ბოცვრის, ფუტკრის, კომპანიონი და ეგზოტიკური ცხოველების და ფრინველების გენეტიკის, მოშენების, სრულფასოვანი კვებისა და ქცევის საკითხებში, რომელიც მოიცავს მეცხოველეობის დარგის უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის;
3. დამოუკიდებლად ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების კვების და საკვების გადამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, ახალი კომბინირებული

რეცეპტების გამოყენებით, პროდუქტიულობის გაუმჯობესების და თვითღირებულების შემცირების მიზნით; 4. აწარმოებს ხორცის და რძის პირველად გადამუშავებას, თანამედროვე და აპრობირებული ტექნოლოგიების გამოყენებით და ადგენს ცხოველური წარმოშობის საკვებში მიკრობიოლოგიური პროცესებს; 5. პრაქტიკულ პირობებში ახორციელებს მეცხოველეობის პროდუქტების: ხორცის, რძის, კვერცხის, ტყავ-ბეწვეულის, მატყლის, ფუტკრის პროდუქტების პირველადი გადამუშავების გაუმჯობესებას თანამედროვე და აპრობირებული მეთოდების გამოყენებით; 6. იყენებს მეცხოველეობაში ხელოვნური დათესვლის თანამედროვე მეთოდებს და ისწრაფვის გამოყვანილი ჯიშების დასამკვიდრებლად; 7. ადგენს მეცხოველეობის მულტიდისციპლინურ გარემოში არსებულ პრობლემებს და უახლესი ინფორმაციის სინთეზის და საკუთარი კვლევის საფუძველზე დამოუკიდებლად შეიმუშავებს მათი გადაჭრის ეფექტურ გზებს; 8. იძიებს ინფორმაციას მეცხოველეობის სფეროში ახალი მიღწევების შესახებ და აყალიბებს დასაბუთებულ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს, ქმნის კვლევითი ხასიათის ნაშრომს და წარადგენს წერილობით ქართულ და უცხოურ ენებზე აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე; 9. დამოუკიდებლად აწარმოებს შემდგომი სწავლის და პროფესიული განვითარების პროცესს; 10. მეცხოველობის არაპროგნოზირებად სასწავლო/სამუშაო გარემოს მართვისას პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ და სხვათა პროფესიულ საქმიანობაზე და წვლილი შეაქვს დარგის განითარებასა და სრულყოფაში.
შეფასების სისტემა: შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებითი შეფასებებია: • **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; • **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; • **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; • **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; • **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია: • **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლადმეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. **კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა** - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი.

დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით. შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებით მაგისტრატურის შესახებ, https://gtu.ge/pdf/forms-instructions/about-masters.pdf სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე წარდგენამდე, მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, დეკანთან უნდა წარადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, აგრეთვე განცხადება სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების თხოვნით. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია, კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი და მაგისტრატურასთან დაკავშირებული სხვა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/masters.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1.	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	5
2.	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	
3.	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	
4.	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული ენა)	
5.	მეცხოველეობაში გამოყენებული საკვები საშუალებების კლასიფიკაცია, ტექნოლოგია-თანამედროვე ინოვაციებით	**5**
6	სახორცე და მერძეული ძროხის მოშენება, კვება, ხორცის წარმოება და რძის პირველადი გადამუშავება	6
7.	ცხვრის მოშენება, კვება ხორცის, მატყლის და რძის პირველადი გადამუშავება	5
8.	მეცხოველეობა და პროდუქციის წარმოების ძირითადი პრინციპები	5
9.	ეგზოტიკური ცხოველების და ფრინველების მოვლა-მოშენება და კვება	4
	არჩევითი უცხოური ენები	
10.	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5
11.	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	
12.	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	

13.	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	
	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	
14.	ღორის მოშენება, კვება და ხორცის წარმოება-პირველადი გადამუშავება	**5**
15.	ფრინველის მოშენება, კვება, კვერცხის, ხორცის წარმოება და პირველადი დამუშავება	**6**
16.	ბოცვრის მოშენება, კვება. ხორცის წარმოება ტყავ-ბეწვეულის მიღება და პირველადი გადამუშავება	**4**
17.	საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 1	**5**
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	
18.	ინტენსიური მიწადმოქმედება	5
19.	მინდვრის კულტურების ეკოლოგიური და ჯიშური აგროტექნილოგია	
20.	ნიადაგის ნაყოფიერების მართვა	
21.	აკადემიური წერა	
	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	
22.	კომპანიონი ცხოველების მოვლა შენახვა და თანამედროვე საკვები საშუალებების გამოყენების ტექნიკა	**5**
23.	ფუტკრის პროდუქტების წარმოება და პირველადი გადამუშავება	5
24.	ცხოველური წარმოშობის საკვებში მიკრობიოლოგიური პროცესები	5
25.	საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 2	10
	კვლევითი კომპონენტი	**35**